დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 12 აგვისტო**

დისციპლინური საქმე №93/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

-- -- 2024 წლის 8 ივლისის №93 საჩივრით მომართა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს, მოსამართლე -- -- მიმართ.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ საჩივარში „მითითებული არ არის მოსამართლის ვინაობა, დისციპლინური საქმე ან/და დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტი, დამოუკიდებელი ინსპექტორი საჩივრის (განცხადების) წარმდგენ პირს დაუდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 5 დღისა. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საჩივარი (განცხადება) არ განიხილება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 9 ივლისის №284/93-03 წერილით, -- -- 2024 წლის 8 ივლისის №93 საჩივარზე დადგინდა ხარვეზი (საჩივარში არ იყო მითითებული საქმის ნომერი) და საჩივრის ავტორს განესაზღვრა 5 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, თუმცა საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი არ გამოსწორდა.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2024 წლის 8 ივლისის №93 საჩივრი დარჩეს განუხილველი.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი